GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

01 Ağustos / აგვისტო 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	0.6%

Başbakan'ın Çin Ziyareti

პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში



Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Çin Halk Cumhuriyeti Devlet Başkanı Sn. Şi Cinping ile görüştü. Toplantı Siçuan bölgesinde yer aldı. Görüşmede Gürcistan ve Çin Halk Cumhuriyeti arasındaki ikili işbirliğinin daha da derinleştirilmesine karar verildi.
Sn. Garibashvili Gürcistan tarafından Çin Halk Cumhuriyeti ile uzun yıllardan beri dostane ilişkileri ve işbirliğine değer verildiğini belirtmiş olup Sn. Şi Cinping'a "Kuşak ve Yol Global Girişimi" için teşekkürlerini sundu.

Başbakan Garibashvili ziyaret kapsamında Çengdu'da yer alan Uluslararası Üniversite Sporları Federasyonu'nun 31. Dünya Üniversite Yaz Oyunları açılış törenine katıldı.
Üst düzey misafirler Üniversite Yaz Oyunları'nın yerini aldığı Sport Park Stadium'da Çin Halk Cumhuriyeti Devlet Başkanı Sn. Cinping tarafından ağırlandı.
31. Dünya Üniversite Yaz Oyunları'na bu yıl 40 Gürcü öğrenci katıldı.

"Devlet Başkanı Sn. Şi Cinping'a ve Hükümetine, Pekin Dil ve Kültür Üniversitesi temsilcilerine-Dünya edebiyatına Shota Rustaveli'nin katkılarını takdir ettikleri ve Gürcü halkının mirasını vurgulamak için bu olağanüstü bir fırsat verdikleri için bir kez daha samimi şükranlarımı sunarım"-
Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Pekin Dil ve Kültür Üniversitesinde Shota Rustaveli'nin heykelinin açılış töreni sırasında yaptığı konuşmada bu sözleri ifade etmiştir.
Hükümet Başkanı'nın dediği gibi, Gürcistan ve Çin arasındaki kültür alışverişi, bilgi paylaşımı ve dostluğu destekleme fikri bir kez daha teyit edildi.
Pekin Dil ve Kültür Üniversitesinde Shota Rustaveli'nin heykelinin açılış törenine Gürcistan heyeti de iştirak etmiştir.
Törende öğrenciler sanat ve kültür performansları sunmuş oldular.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იმბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Çin ziyareti kapsamında Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Asya Altyapı Yatırım Bankası Başkanı Sn. Jin Liqun ile görüştü.

Pekin'de yerini almış görüşmede Gürcistan ve Asya Altyapı Yatırım Bankası arasındaki işbirliği gündemin ana konuydu.

Sn. Garibashvili Sn. Jin Liqun'a verimli işbirliği ve ülkenin altyapısının geliştirilmesine yapmış olduğu önemli katkılarından dolayı teşekkürlerini sundu.

Taraflar enerji güvenliği ve yeşil/yenilenebilir enerji de dahil olmak üzere işbirliğinin yeni yönleri ele almışlardır.

Hükümet Başkanı'nın ifade ettiği gibi, Gürcistan bölgelerarası ve bölge içi bağlantıları güçlendirmek için mühim altyapı projeleri sürdürmektedir.

Gürcistan bölgesel bağlantılarının geliştirilmesinde ve Avrupa ile Asya'nın kavşağında arzu edilen bir yatırım ortamının yaratılmasında büyük bir rol oynayabilir.

Başbakan'ın belirttiği gibi, Gürcistan Hükümeti bankanın yeşil ekonomiye olan desteği artırma çabalarını hoş karşılamaktadır.

Sn. Garibashvili Gürcistan Hükümeti tarafından ekonomik yönde kaydedilmiş ilerlemeler hakkında Sn. Liqun'a bilgi verip dünyadaki zorluklara rağmen, ihtiyatlı politika sonucunda ülkenin son 2 yıl boyunca çift haneli ekonomik büyüme kaydettiğini dile getirdi, elde edilen veriler tarihsel bir önem taşımaktadır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Stratejik ortaklığın geliştirilmesi ve ticari ile ekonomik yönündeki işbirliği Gürcistan Başbakanı ile Çin Halk Cumhuriyeti Başbakanı Sn. Li Çiang'ın görüşmesinde esas konular oldu. Görüşme Pekin'de yer aldı.

Sn. Irakli Garibashvili'nin belirttiği gibi, Çin Gürcistan için güvenilir bir ticaret ortağıdır ve Gürcistan'ın en büyük ticaret ortakları arasında 3. Sıradadır yerini almaktadır- ihracat alanında 1, ithalat alanında ise 3. sıradadır.

Taraflar Çin ile 2022 yılında 2 milyar dolara ulaşan serbest ticaret anlaşmasının uygulanmasından bu yana elde edilen sonuçları görüştüler.

Başbakan Garibashvili Gürcistan'ın Çin ile yatırım işbirliğinin daha da güçlendirilmesine büyük bir önem verdiğini kaydetti.



Sn. Irakli Garibashvili Sn. Li Çiang'a ulaşım, lojistik, enerji ve yenilenebilir enerji kaynakları yönünde ülkedeki potansiyeli ve üzerinde hükümetin aktif olarak çalıştığı büyük altyapı projelere dair bilgi verdi.

Görüşmede ayrıca Gürcistan'ın transit potansiyeli ve dünyadaki zorlukları bağlamında daha da büyük bir önem kazandığı "Orta Koridor"un geliştirilmesinin öneminden bahsetmiş oldular.

Trans-Hazar ve Güney Kafkasya'nın uluslararası ulaştırma yolu ile Gürcistan Çin'i Avrupa'ya en kısa sürede bağlar.

Güney Kafkasya bölgesinin Doğu ve Batı'yı birleştiren olma olasılığını artıracak enerji ve altyapı alanlarındaki bölgesel inisiyatifleri ele alındı.

Turizm sektöründeki olumlu dinamiklerine de değinildi. Sn. Garibashvili'nin belirttiği gibi, turizm alanında ülkelerarası işbirliği artış gösterir ve ortak bir girişimi ile kısa sürede pandemi öncesi istatistik restore edilecektir.

Bu konuda turistlerin sayısını artmaya el veren Gürcistan-Çin direkt uçuşların yenilenmesi övgüye layık.

Ülkede 5G teknolojilerinin geliştirilmesi, veri merkezlerinin oluşturulması, dijital koridor ve Gürcistan'da bölgesel bir dijital merkezin kurulması da dahil olmak üzere dijital ekonominin geliştirilmesinde işbirliğine değinildi.

Çin Halk Cumhuriyeti Başbakanı'nın belirttiği gibi, Gürcistan ve Çin tarafından ikili ilişkilerini stratejik ortaklık düzeyine taşımak için ortak bir bildiri yayınlanacaktır ve bu Çin-Gürcistan ilişkilerinde bir dönüm noktası olacak.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Sn. Irakli Garibashvili sıcakkanlı misafirperverlik için Sn. Li Çiang'a teşekkürlerini sunup Gürcistan'a davet etti.
Görüşme sonrası Gürcistan ve Çin Halk Cumhuriyeti Hükümetleri arasında Kuşak ve Yol Girişimi kapsamında ikili işbirliği projesi imzalandı. Bununla birlikte Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı ile Çin Halk Cumhuriyeti Ticaret Bakanlığı arasında dijital ekonomide yatırım işbirliğine dair bir mutabakat zaptı imzalandı.
Gürcistan Eğitim ve Bilim Bakanlığı ile Çin Halk Cumhuriyeti Eğitim Bakanlığı Dil Eğitimi ve İşbirliği Merkezi arasında Gürcistan'ın genel eğitim okullarında Çince eğitimi konulu bir mutabakat zaptı da imzalandı. Ayrıca Gürcistan Devlet Denetleme Bürosu ile Çin Halk Cumhuriyeti Ulusal Denetleme Bürosu arasında bir mutabakat zaptı imzalandı.
Son olarak Gürcistan Ulusal Fikri Mülkiyet Merkezi ile Çin Halk Cumhuriyeti Ulusal Fikri Mülkiyet İdaresi arasında fikri mülkiyet alanında işbirliğine dair bir anlaşması da imzalandı.

Ziyaretin sonunda Başbakan Garibashvili Pekin'de düzenlenen Çin-Gürcistan İş Forumuna katıldı. Hükümet Başkanı forumda konuşma yapmıştır. Sn. Irakli Garibashvili Gürcistan'ın yatırım potansiyeli ve son yıllarda ülke tarafından kaydedilen ciddi ilerlemeleri ele aldı.
Forumda Çin Halk Cumhuriyeti Uluslararası Ticaret Teşvik Konseyi Başkanı Sn. Ren Hongbin de konuşma yapmıştır.
Çin-Gürcistan İş Forumuna Gürcistan Hükümeti ile Gürcistan ve Çin iş çevrelerinin temsilcileri iştirak ettiler. Forum Çin Halk Cumhuriyeti Uluslararası Ticaret Teşvik Konseyi ile Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı tarafından düzenlendi.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სი ძინპინს შეხვდა. შეხვედრა სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში გაიმართა.
შეხვედრაზე საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების გადაწყვეტილება მიიღეს.
ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო აფასებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მრავალწლიან მეგობრობას და თანამშრომლობას. პრემიერ-მინისტრმა სი ძინპინს "სარტყელის და გზის გლობალური ინიციატივისთვის" მადლობა გადაუხადა.

ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, ჩენგდუში FISU-ს 31-ე ზაფხულის მსოფლიო საუნივერსიტეტო თამაშების გახსნის ცერემონიას დაესწრო.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Sport Park Stadium-ზე, სადაც საუნივერსიტეტო თამაშები გაიმართა, მაღალი დონის სტუმრებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა უმასპინძლა.
მსოფლიო საუნივერსიტეტო თამაშებში წელს 40-მა ქართველმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

„კიდევ ერთხელ ვუხდი გულწრფელ მადლობას პრეზიდენტ სი ძინპინსა და მის მთავრობას, პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მსოფლიო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ღვაწლის აღიარებისთვის და ამ შესანიშნავი შესაძლებლობისთვის, რათა ხაზი გაესვას ჩვენს მემკვიდრეობას" - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.
როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული გაცვლის, ცოდნის გაზიარებისა და მეგობრობის ხელშეწყობის იდეის ერთგულება.
პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ღონისძიებას საქართველოს დელეგაციის წევრები ესწრებოდნენ.
ღონისძიებაზე სტუდენტებმა კულტურული პერფორმანსები წარადგინეს.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის" პრეზიდენტს ძინ ლიქუნს შეხვდა.
პეკინში გამართულ შეხვედრაზე განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები.
ირაკლი ღარიბაშვილმა ძინ ლიქუნს ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.
მხარეებმა თანამშრომლობის ახალი მიმართულებები მიმოიხილეს, მათ შორის, ენერგოუსაფრთხოებისა და მწვანე და განახლებადი ენერგიების სფეროების მიმართულებით.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს რეგიონთაშორისი და შიდა რეგიონული კავშირის გასაძლიერებლად.

საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონის მასშტაბით ურთიერთდაკავშირების გაუმჯობესებასა და ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე სასურველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობა მიესალმება ბანკის ძალისხმევას, გააძლიეროს მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ძინ ლიქუნს ეკონომიკური მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ მიუხედავად მსოფლიოში არსებული გამოწვევებისა, სწორი პოლიტიკის შედეგად, ქვეყანას ბოლო 2 წლის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს, მიღწეული მაჩვენებლები კი, ისტორიულია.

სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება და სავაჭრო და ეკონომიკური მიმართულებით არსებული თანამშრომლობა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ლი ციანის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები. შეხვედრა პეკინში გაიმართა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ჩინეთი საქართველოსთვის საიმედო სავაჭრო პარტნიორია და საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის მე-3 ადგილზეა, - ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზეა, ხოლო იმპორტის მხრივ, მე-3 ადგილს იკავებს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის.

მხარეებმა განიხილეს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე მიღწეული შედეგები, რამაც 2022 წელს 2 მილიარდ დოლარს მიაღწია.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან საინვესტიციო თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ლი ციანს ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ენერგეტიკისა და განახლებადი ენერგიის წყაროების მიმართულებით ქვეყანაში არსებული პოტენციალის და იმ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომლებზეც მთავრობა აქტიურად მუშაობს.

შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე და „შუა დერეფნის" განვითარების მნიშვნელობაზე, რომელმაც მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა.

ტრანსკასპიური და სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის გავლით, საქართველო ჩინეთს ევროპასთან უმოკლეს დროში აკავშირებს.

განიხილეს ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში რეგიონული ინიციატივები, რომლებიც გაზრდის სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესაძლებლობას, გახდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

საუბარი შეეხო ტურიზმის მიმართულებით არსებულ პოზიტიურ მაჩვენებლებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობა იზრდება და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მალე პანდემიამდელი სტატისტიკა აღდგება. ამ მიმართულებით მისასალმებელია, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის პირდაპირი ფრენები აღდგა, რაც ხელს უწყობს ტურისტების რაოდენობის ზრდას.

საუბარი შეეხო თანამშრომლობას ციფრული ეკონომიკის განვითარებაში, მათ შორის ქვეყანაში 5G ტექნოლოგიების განვითარების და მონაცემთა ცენტრების შექმნის, ციფრული დერეფნისა და საქართველოში რეგიონული ციფრული ჰაბის ჩამოყალიბების მიმართულებით.

როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს და ჩინეთის მიერ გამოქვეყნდება ასევე ერთობლივი კომუნიკე ორმხრივი ურთიერთობების სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე აყვანის მიზნით, რაც მნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენა იქნება ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

ირაკლი ღარიბაშვილმა ლი ციანს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და საქართველოში მიიწვია.

შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის სარტყელისა და გზის ინიციატივის ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას, ასევე ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს შორის ციფრულ ეკონომიკაში საინვესტიციო თანამშრომლობის შესახებ.

ხელი მოეწერა ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ენის სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩინური ენის ერთობლივი სწავლების შესახებ, ასევე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ აუდიტის სამსახურს შორის და ასევე შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ადმინისტრაციას შორის.

ვიზიტის ბოლოს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ჩინეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმს დაესწრო, რომელიც პეკინში გაიმართა. მთავრობის მეთაურმა ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალსა და ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესზე ისაუბრა.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით ასევე მიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს თავმჯდომარემ რენ ჰონგპინიმ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ჩინეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმში მონაწილეობდნენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოსა და ჩინეთის ბიზნეს წრეების წარმომადგენლები. ფორუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

Levan Davitashvili Asya Altyapı ve Yatırım Bankası Başkan Yardımcısı Konstantin Limitovskiy İle Görüştü

ლევან დავითაშვილი AIIB ვიცე-პრეზიდენტს კონსტანტინ ლიმიტოვსკის შეხვდა

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Asya Altyapı ve Yatırım Bankası Başkan Yardımcısı Sn. Konstantin Limitovskiy ile bir araya geldi. Toplantıda Gürcistan'da bankanın gelecek faaliyetleri için öncelikli alanları ele alındı.
Sn. Davitashvili Asya Altyapı ve Yatırım Bankası Başkan Yardımcısı'na Gürcistan'daki genel ekonomik durumu tanıtıp liberal yatırım ortamı ile cari ve planlanan önemli projelere dair bilgi verdi.
Sn. Limitovskiy Gürcistan ile başarılı ve verimli işbirliği vurgulamış olup banka adına sonraki geliştirilmesi için hazırlıklarını dile getirdi.

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) ვიცე-პრეზიდენტს კონსტანტინ ლიმიტოვსკის შეხვდა, რომლის დროსაც განხილულ იქნა ბანკის სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში.
ლევან დავითაშვილმა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური სურათი გააცნო და ლიბერალური საინვესტიციო გარემოს და მიმდინარე თუ დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.
AIIB-ს ვიცე-პრეზიდენტმა აქცენტი გააკეთა საქართველოსთან წარმატებული, ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ და ამასთანავე ბანკის სახელით მისი შემდგომი განვითარებისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Romeo Mikautadze Bükreş'te Yer Alan Karadeniz Denizaltı Kablosu İle İlgili Bakanlar Toplantısına Katıldı

რომეო მიქაუტაძემ მონაწილეობა მიიღო ბუქარესტში შავი ზღვის წყალქვეშა კაბელთან დაკავშირებით მიმდინარე მინისტერიალში

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Romeo Mikautadze Bükreş'te yer alan Karadeniz denizaltı kablosu ile ilgili Bakanlar Toplantısı'na katıldı.

Macaristan, Gürcistan, Romanya ve Azerbaycan Hükümetleri temsilcileri Romanya'nın Başkentinde 4. Bakanlar Toplantısına iştirak etmişlerdir.

Bükreş'te yer alan toplantıda dört ülkeden Hükümetlerin enerji bölümü birinci şahıslar Karadeniz denizaltı kablosu ile ilgili mevcut konuları görüşmüşlerdir.

Sn. Romeo Mikautadze Karadeniz denizaltı kablosu projesi de dahil olmak üzere anlaşmaya katılan ülkeler ve bütün bölge için enerji alanında işbirliğinin öneminden bahsettiği bir karşılama konuşması yaptı.

Hatırlatmak isteriz ki, 17 Aralık, 2022'de Azerbaycan, Gürcistan, Romanya ve Macaristan Hükümetleri arasında en önemli konularından birisi Karadeniz denizaltı kablosu projesi olan stratejik ortaklık anlaşması imzalandı.

Proje 1.195 metre uzunluğundaki bir kablo vasıtasıyla Güney Kafkasya'nın enerji sistemlerinin doğrudan Avrupa'nın enerji sistemlerine bağlanmasını öngörmektedir.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელთან დაკავშირებით ბუქარესტში მიმდინარე მინისტერიალში მიიღო მონაწილეობა.

უნგრეთის, საქართველოს, რუმინეთისა და აზერბაიჯანის მთავრობათა წარმომადგენლები რუმინეთის დედაქალაქში რიგით მე-4 მინისტერიალზე შეიკრიბნენ.

ბუქარესტში მიმდინარე შეხვედრაზე ოთხი ქვეყნის მთავრობათა ენერგეტიკული უწყებების პირველმა პირებმა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს.

რომეო მიქაუტაძე ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, სადაც შეთანხმების მონაწილე ქვეყნებისა და მთლიანად რეგიონისთვის ენერგეტიკის სფეროში პარტნიორობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, მათ შორის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 17 დეკემბერს აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებას,

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სწორედ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენს.
პროექტი 1,195 კმ სიგრძის კაბელის საშუალებით სამხრეთ კავკასიის ენერგოსისტემის პირდაპირ ევროპის ენერგოსისტემასთან დაკავშირებას გულისხმობს.

Ticaret Bankalarının Net Kazancı

კომერციული ბანკების წმინდა მოგება

2023'ün Haziran ayında ticaret bankalarının net kazancı Mayıs ayına kıyasla 15.2 mln GEL daha fazla, geçen senenin aynı döneme kıyasla ise 98.6 mln GEL daha fazla olan 252.8 mln GEL'i teşkil etmiştir.

2023'ün Mayıs ayında ticaret bankalarının net kazancı 237.6 mln GEL'i oluştururken, 2022'nin Hazıran ayında 154.2 mln GEL'i teşkil etmiştir.

Bununla birlikte, 2023 yılın 6 ayında ticaret bankaları toplamda 1.258 milyar GEL net kazancı elde ettiler.

2023 yılın Haziran ayında ticaret bankalarının gelirleri 566.8 mln GEL faiz geliri olan 770.5 mln GEL olarak gerçekleşti. Haziran ayında ticaret bankalarının giderleri 482 mln GEL'i oluştururken, Mayıs ayında bankalar komisyon ve vermiş olduğu hizmetlerinden 66.2 mln GEL geliri elde ettiler.

2023 წლის ივნისში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 252.8 მლნ ლარი შეადგინა, ეს წინა თვესთან შედარებით 15.2 მლნ ლარით მეტია, წინა წლის შესაბამის პერიოდთან კი 98.6 მლნ ლარით. 2023 წლის მაისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 237.6 მლნ ლარს შეადგენდა, 2022 წლის ივნისში კი 154.2 მლნ ლარს.

ამასთან, 2023 წლის 6 თვეში კომერციულმა ბანკებმა მთლიანად 1.258 მლრდ ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

2023 წლის ივნისში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 770.5 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 566.8 მლნ ლარი. ივნისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 482 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 66.2 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan'a İthal Edilen Benzin ve Dizel'in %81'si Rusya'dan İthal Edilmektedir

საქართველოში ბენზინისა და დიზელის იმპორტის 81% რუსეთზე მოდის

Un İthalatı Azalıp Buğday İthalatı Artış Gösterdi

ფქვილის იმპორტი შემცირდა, ხორბლის კი-გაიზარდა

6 Ayda Elektrik Üretimi Neredeyse %4 Azaldı

6 თვეში ჰესების გამომუშავება თითქმის 4%-ით შემცირდა

Haziran Ayında Gürcistan Ekonomisi %7.7 Artış Gösterdi

ივნისში საქართველოს ეკონომიკა 7.7%-ით გაიზარდა

Milli Bankası 6 Ayda 1.06 Milyar ABD Doları Aldı

ეროვნულმა ბანკმა 6 თვეში 1.06 მილიარდი აშშ დოლარი იყიდა

Bu Sene Tiflis Çevresinde En Çok Arazi Lisi'de Satıldı

წელს, თბილისის შემოგარენში ყველაზე მეტი მიწა ლისზე გაიყიდა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Gürcistan 6 Ayda Turizmden 1.8 Milyar Dolar Geliri Elde Etti

6 თვეში საქართველომ ტურიზმიდან 1.8 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6433 TRY/GEL – 0.0981 EUR/GEL – 2.9060 GBP/GEL – 3.3958

USD/GEL

24 -01 Ağustos 2023



USD/TR

24 -01 Ağustos 2023

TRY/GEL

24 -01 Ağustos 2023

BTC – 26 985. 6

24 -01 Ağustos 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING